პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1920 — 1978

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

□ შაბათი 28 იანვარი, 1978 წ. □ № 24 (17068) □ ფასი 2 კაპ.

ᲖᲐᲡᲣᲮᲡᲐᲒᲔᲑᲘ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘᲐ ᲓᲐᲡᲐᲮᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲛᲝᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲝᲜᲚᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲤᲐᲠᲗᲝᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲕᲔᲭᲠᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲧᲝᲤᲐᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

ᲐᲛ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲐᲡᲗᲐᲜ ᲣᲨᲣᲐᲚᲝᲓ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲔᲐᲗᲔ ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲐ, ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲝᲜᲘᲡ ᲐᲛᲐᲚᲚᲔᲑᲐ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წერილიდან

დიდი პარტიული საქმე

ᲩᲕᲔᲜᲘ თვალუწვდენი სამშობლოს მიწაწყალზე მძლავრად მიაბიჯებს მეათე ხუთწლედის მესამე წელი — სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებების განხორციელების წელი. ამ ისტორიული პლენუმის დიადი იდეების ხორცშესხმისათვის შრომისა და ბრძოლის პირველ დღეებშივე საბჭოთა ხალხის ნამდვილი შემოქმედებით და პოლიტიკური აღმავლობა გამოიწვია ისტორიულმა დოკუმენტმა — სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წერილმა მიმდინარე წლის გეგმების გადაჭარბებით შესრულების უზრუნველსაყოფად სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის შესახებ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მერვე პლენუმმა ღრმად გააანალიზა საიუბილეო წელს და ხუთწლედის ორი წლის მანძილზე მუშაობის შედეგები და ჩამოაყალიბა საბრძოლო ამოცანები.

უთუოდ მნიშვნელოვანია მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მომსახურების სფეროს დარგების მიღწევები. და ეს იმ უდიდესი ღონისძიებების შედეგია, რომლებიც რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციამ განახორციელა პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტისა და საქართველოს პარტიული ორგანიზაციის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებათა შესასრულებლად. ყოველივე ამან არ შეიძლება არ გაახაროს თითოეული მშრომელი, კომუნისტი თუ კომკავშირელი, ყველა, ვინც გვერდში უდგას ჩვენს პარტიულ ორგანიზაციებს მოღვაწეობაში ჯანსაღი მორალური კლიმატის შექმნისათვის, ახალი, უფრო ლამაზი ცხოვრების დამკვიდრებისათვის ბრძოლაში.

ერთი წელი, რომელიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეხუთე პლენუმიდან გავიდა, საკმაო დროა იმისათვის, რომ შევაჯამოთ გაკეთებული და ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ იმ დიდ და სეროზულ ამოცანებზე, რომლებიც პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების, სავაჭრო, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების კოლექტივების თითოეული მუშაკის წინაშე დგას.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მომსახურების სფეროში მოპოვებული წარმატებები ურიგო როდია. ბევრი რამ გაკეთდა და მოგვარდა ვაჭრობის ორგანიზაციისათვის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის, მომსახურების კულტურის ამაღლებისათვის, ნაკლოვანებებისა და დარღვევების წინააღმდეგ ბრძოლაში. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სურსათ-სანოვაგით, მათ შორის კარტოფილით, ბოსტნეულით, ხილით მომარაგება, მაგრამ პოზიტიური ძვრები უფრო მეტი იქნებოდა, მომსახურების სფეროს საწარმოთა მუშაკები უფრო პატიოსნად, გულმოდგინედ, საქმის სიყვარულით, მშრომელებისადმი პატივისცემით რომ იღვწოდნენ.

რედაქციაში მშრომელთა მრავალი სიგნალი, საჩივარი, წინადადება, მოსაზრება მოდის, რომლებიც ფართო მასები უდიდესი ყურადღებით ეკიდებიან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეხუთე პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელების საქმეს. ისინი კმაყოფილებას გამოთქვამენ მიღწეულისა და პოპოლუტური ნაბიჯებზე მუშაობის შედეგები და ჩამოაყალიბა საბრძოლო ამოცანები.

ეს იმ ფაქტებიდან ერთ-ერთია, ბოსტნეულის, ხილეულის, ბოსტნეულ-ბოსტნეულ-ბოსტნეულ-

ვაჭრობა, საყოფაცხოვრებო მომსახურება — თანამედროვე მუშაობის დონეზე!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის V პლენუმის გადაწყვეტილებები — ცხოვრებაში!

ადამიანის კეთილდღეობისათვის!

წესრიგი ყველგან და ყველაფერში

საკოორდინაციო კომისია მოქმედებს

გავუფრთხილდეთ შრომით მოპოვებულ კაპიკს

ამასახურების სფეროში ნეგატიური მოვლენებისა და, საერთოდ, დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლას დიდი პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და მორალურ-ფსიქოლოგიური მნიშვნელობა აქვს. მშრომელთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაში მომხდარი პოზიტიური ძვრები გაცილებით დიდი, ეფექტიანი იქნებოდა, ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო სამსახურის ყველა საწარმო, ობიექტი, ყოველი მოქმედი მთელი პასუხისმგებლობით რომ იბრძოდეს მომსახურების სრულყოფისა და სანიმუშო კულტურისათვის.

ამ დიდ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეში არსებითი მნიშვნელობა აქვს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის V პლენუმის გადაწყვეტილებებს, რომლებიც მთლიანად გამომდინარეობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ. ამ პლენუმიდან უკვე ერთი წელი გავიდა. არის გარკვეული წინ გადადგმული ნაბიჯები, მაგრამ განსაკუთებელი ბევრია. ვაჭრობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების უკეთ წარმართვისათვის გატარებულ ღონისძიებათა შორის სიახლის წარმოადგენს ხელმძღვანელობის მაკოორდინებელი რგოლის, მუდმივმოქმედი საკოორდინაციო კომისიის შექმნა არა მარტო პარტიის ცენტრალურ კომიტეტში, არამედ საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებში, მსგავსი პარტიული ორგანიზაციებში.

ეს კომისიები უკვე მოქმედებენ. პრაქტიკულად ანმორიელებენ დასახულ ამოცანებს. მათი საშუშაო გეგმები მრავალ მნიშვნელოვან საკითხს მოიცავს, პრაქტიკულ საქმიანობასაც სასურველი გეზით წარმართავენ. არის გარკვეული ტენდენცია — მთავარი ყურადღება გამახვილებულია ვაჭრობა და საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროს მუშაკთა ყოველდღიური საქმიანობისადმი, დარღვევებისადმი, აღმზრდელობითი მუშაობისადმი. ეს თავისთავად საჭირო საქმეა, თანაც არსებითი. მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია საკითხის მეორე მხარე, როდესაც დანაშაულს თვით მომხმარებელი სჩადის, ხელს უწყობს ვაჭრობის წესების დარღვევას. არარაა იშვიათ სხვათა ინტერესებს.

რაიონგადაც უნდა ვლერდეს ზოგიერთისათვის სიტყვა „კაპიკი“, უნდა გვახსოვდეს, რომ სწორედ კაპიკებისაგან შედგება მანეთები, შთელი თანხა. ასეთი კაპიკები და მანეთები განსაზღვრავს თითოეული ოჯახის ბიუჯეტს და ამთი დაზოგვა ნორვეგის ეკონომია სიძლიერეს გამოვლინება. ოფლით მოპოვებული კაპიკის გაფრთხილება საკუთარი ოჯახის ბიუჯეტის გაფრთხილებას ნიშნავს. რა თქმა უნდა, არც ის უნდა დავივიწყოდეს. რომ ზეგზეტი „ხელგაშლილობით“, ხარჯის დაწოვებით მორალურად ვამახინჯებთ სავაჭრო სფეროს იმ მუშაკებს, რომლებიც მოწოდებული არიან და უნარიც შეუწეთ საინიმუშოდ მოგვემსახურონ.

სწორედ ამ კუთხით მინდა შევეხო ლენინის რაიკომთან არსებული საკოორდინაციო კომისიის მუშაობას, მის პრაქტიკულ ნაბიჯებს, მიღებულ ღონისძიებებს. საკოორდინაციო კომისიის თავისი ოპერატიული ჯგუფები ჰყავს, რომელთა შემადგენლობაში არიან პარტიის რაიონული კომიტეტის და რაისაბჭოს, კონტროლისა და კომკავშირის კომიტეტების პასუხისმგებელი მუშაკები, მოწინავე მუშები. ეს ჯგუფები ტერიტორიული პრინციპის მიხედვით მიმაგრებული არიან მომსახურების სფეროს სხვადასხვა ობიექტებზე. მემოწმებები ხდება ადგილზე ორ-ს

ᲓᲐᲗᲛᲔᲡ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲔᲑᲘ

ᲐᲠᲪᲗᲣ ისე ცუდი მაჩვენებლებით დაამთავრა საიუბილეო წელი აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების, მეთაური საწარმოს საქსოვმა საამქრომ. მან აეკმაყოფილებინა 6 მილიონ 682 ათასი მეტრის ნაცვლად 6 მილიონ 844.310 მეტრი მაღალხარისხოვანი ქსოვილი ათვისებული ნედლეულიდან და საწარმოო წელი 24 დეკემბრისათვის დამთავრა.

საკვირაველო იყო, რომ მიღწეული წარმატებები 1978 წლის ნინებული სტარტის საწინდარი გახდებოდა და წლის დასაწყისშივე ვიხილავდით შრომის სწრაფ ტემპს.

დღეს, როცა უკვე შეჯამებულია პირველი ორი დეკადის მუშაობის შედეგები, შეიძლება დამაჯერებელი პასუხი გაეცეს კითხვებს: როგორ დაიწყო 1978 წელი საამქროს, შეინარჩუნა თუ არა ჯასულ წელს აღებული ტემპი?

ხუთწლედის მესამე, დამკვიდრებული წლის პირველი დეკადის საკვანძო მაჩვენებელი მხოლოდ 97 პროცენტით შესრულდა. გეგმით ათვალისწინებული 153 ათასი მეტრის ნაცვლად დამოშვებულია 97 ათასი მეტრი ქსოვილი. თუ საამქროს ყოველდღიურად 17.700 მეტრი ხამი და ნატურალური აბრეშუმის მოქსოვა ეკალება, პირველ დეკადაში ეს მაჩვენებელი 14 ათასს ვერ აღსცდა!

არც მეორე დეკადის მაჩვენებელია სახარბიელო: გეგმით გათვალისწინებული 170 ათასი მეტრის ნაცვლად აქ მოქსოვილია 131 ათასი მეტრი აბრეშუმი.

საერთოდ. იანვარში საამქროს უნდა გამოეშვა 521 ათასი მეტრი ქსოვილი, 24 იანვრისათვის ეს ციფრი 301 ათასს ძლივს აღწევდა. გეგმა რომ შეასრულოს, საამქროს თვის ბოლომდე დარჩენილ დღეებში 220 ათასი მეტრი აბრეშუმი უნდა მოქსოვოს(!)

რამ გამოიწვია ეს?

წლის სტარტზევე ჩამორჩენის ერთ-ერთ მიზეზად აქ დამისახელეს ახალი პროდუქციის ათვისებასთან დაკავშირებული სიძნელეები. საქსოვ საამქროში წელს პირველად დაიწყეს ნატურალური აბრეშუმის ქსოვილს „კრეპ-ჟორჟეტის“ სერიული გამოშვება. ერთმაქმიანი მექანიკური დაზგები, რომლებზეც ხამი აბრეშუმი იქსოვებოდა, ახალი ინსტრუმენტისათვის გამოუსადეგარი აღმოჩნდა. და ეს წლის დასაწყისში(!) დაისვა მანქანების ჯადაწყობის საკითხი. 224 დანდგარიდან წლის ბოლოსთვის ერთდროულად ჯადაწყოს 90, იანვარში — 30.

— საქსოვი დაზგების ჯადაწყობის წინასწარი სამუშაოები, — ვკითხულობ საამქროს უფროსი ო. მაჩიტიძე, — ვერ შეეასრულეთ, რადგან ჟეგმაში ვგეგმავთ შეგვეტანეს ნატურალური აბრეშუმის ჯამოშვება, დეკემბერში ჩვენ მხოლოდ ორი დაზგის ჯადაწყობა მოვასწარით. მაგრამ ამან საქმეს ვერ აშველა. ამას დიამეტრ მექანიკური საამქროს ორიენტმა მუშაობაც. დროზე ვერ ვაჯაწყოდით დანდგარის შეკეთება-ჯადაწყობისათვის საჭირო მასალებს. ამიტომ ტექნიკა ცდება საათობით, ზოგჯერ დღეებითაც. მოცდენები კი საამქროს ძვირად უჯდება.

ვაერთიანების მეთაური თბილისის ტრიკოტაჟის თეთრეულის საწარმოო გაერთიანების მმართველის ვ. არათანაშვილის მიმდევრების სიაა.

შევნიშნეთ, რომ მქსოველი ციალა ბურდული ორივე თაოსნობის მიმდევართა შორის იყო დასახელებული.

ციალა ბურდულთან საუბარმა კი ერთბაშად მოაშორინა ნათელი ყველაფერი: მან არც იცოდა, რომ ორი ინიციატივის „მიმდევარი“ იყო. უფრო მეტიც: ვერ აგვიხსნა, რას ნიშნავდა სმენრნოვას გამოცდილება.

როგორც იტყვიან — კომენტარი ზედმეტია!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წერილში აღნიშნულია, რომ მთავარი ია წლის პირველი დღეებიდანვე უზრუნველყოთ, რომ იყოს მუშაობის ზუსტი რიტმი, რომ თითოეულმა შრომითმა კოლექტივმა, რაიონმა, ქალაქმა, ოლქმა, მხარემ და რესპუბლიკამ შეასრულოს სახელმწიფო საგეგმო დავალებანი და სოციალისტური ვალდებულებანი.

თბილისელმა მეაბრეშუმეებმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა არ დათმონ პოზიციები და კვლავაც მოწინავეთა რიგებში ჩადგნენ.

მ. ნაპუᲔᲑᲘᲐ.

ᲡᲐᲥᲜᲓᲐᲠᲘᲨᲝ - ᲡᲐᲥᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲙᲠᲔᲑᲔᲑᲘ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲨᲘ

ᲚᲐᲜᲩᲮᲣᲗᲘᲡ რაიონის სოფელ ლესის მასარაძის სახელობის კოლმეურნეობის მშრომელები დათქმულ დროზე ადრე შეიდნენ საანგარიშო კრებაზე. კოლმეურნეები დიდი გულისყურით უსმენდნენ გამგეობის საანგარიშო მოხსენებას. მოხსენება „გაკეთა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ გიორგი იმნაძემ. საანგარიშო კრებას წითელ ზოლად გასდევდა საკოლმეურნეო წარმოების რეზერვების მაქსიმალური ვამოყენების საჭირბოროტო საკითხები.

მომხსენებელმა და კამათში გამოსულმა კოლმეურნეებმა აღნიშნეს, რომ საანგარიშო პერიოდში მეჩაიეებმა 1.063 ტონა ნედლეული ჩაბარეს წარმოებას, რაც ვალდებულებას 143 ტონით აღემატება, შეითე ხუთწლედის ორი წლის დავალება კი 132 პროცენტით შესრულეს.

კრებაზე ბევრ საჭირბოროტო საკითხზე იმსჯელეს. ლესელებმა არც თუ ურიგო ჩაის ფოთლის მოსავალი მიიღეს, მაგრამ, სამწუხაროდ, რაიონის საშუალო მოსავლიანობაზე გაცილებით ნაკლებად 569 ტონა სიმინდი მიიღეს. ბარჩიანი მოსავლის მიღება რომ შეიძლებოდა, ამის საბუთიც არის: მუყაითმა კოლმეურნეებმა ნ. ჩხარტიშვილმა, ი. კომახიძემ, ვ. გოგუაძემ, ხ. სარჯველაძემ, მ. მეფარიშვილმა, მ. მდინარაძემ, ბ. დონდოსმა, ჭ. ანთაძემ, ს. დარჩიამ თითოეულმა ჰექტარზე 35-57 ცენტნერი სიმინდი მოიწიეს. სამარცხვინო ის არის, რომ, როგორც კრებაზე აღნიშნეს, ს. ჭუჭჩიშვილის, ს. ყვაჭაძის, ა. სულაბერიძის, შ. პატარაიას, ო. ჯორბენაძის ოჯახებს სიმინდის ყანა არ გაუპიროვნებიათ. სოფელში ასეთი ცოტა როდია. იმაზე მეტი სასირცხვილო რა არის, რომ იყო სოფელში და ცოცხალი მკვდარსა ემსგავსო?..

დასანანია, რომ ლესელმა მხეველ-მთესველებმა გასულ სამეურნეო წელს სიმინდი რაიონის საშუალო ჰექტარობრივ მოსავალზე 4 ცენტნერით ნაკლები მიიღეს.

საანგარიშო კრებაზე საქმიანი საუბარი იყო საზოგადოებრივი მეცხოველეობის რენტაბელობის დონის ამაღლების საკითხზე. ფართოდ და საფუძვლიანად იმსჯელეს, რესპუბლიკის ზემდგომი ორგანოების ვადაწყვეტილებაზე „ლანჩხუთის რაიონში საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებისა და საკვები ბაზის კომპლექსების ღონისძიებათა შესახებ“. მთელი პირდაპირობით ითქვა, რომ წელს და მომავალში არ უნდა განმეორდეს შარშანდელი მწარე მაგალითი, როცა ხელიდან გაუშვეს პირუტყვისათვის საკვების დამზადების საუკეთესო ვადები, საჭირო საკვებ ბაზას დააკლეს 130 ტონა თივა, 190 ტონა სილოსი. სწორედ ამის გამოა, რომ საზოგადოებრივ მეცხოველეობაში აქვთ მნიშვნელოვანი ხარვეზები, გეგმის შესრულებას დააკლეს რამდენიმე ტონა რძე და ხორცი. გარდა ამისა ერთი ცენტნერი საქონლის ხორცის წარმოებაზე 485 მანეთზე მეტი დაიხარჯა, გეგმა კი 296 მანეთის ითვალისწინებდა. ცენტნერი რძის წარმოება 3 მანეთით გაძვირდა.

— ჩაის პლანტაციებში მისასვლელი ბეტონ წესრიგში არ გვაქვს, — თქვა კრებაზე მერგოლურმა ნ. ჩხარტიშვილმა, — პლანტაციებში თავშესაფარი ფარდულები შესაკეთებელია. ეს ახლა, ზამთრის პერიოდში უნდა გაკეთდეს, თორემ, როცა ფოთლის კრეფის სეზონი დადგება, გვიანღა იქნება. მოსახლეობაში საკარმიდამო მეცხოველეობა სამარცხვინოდ ჩამორჩება, ფერხდება სახელმწიფოსათვის ხორცისა და სხვა პროდუქტების მიყიდვა. ეს იმიტომ ხდება, რომ სძოვრების შემოღობვას საშვილი არ დაადგა, კომბინირებულ საკვებს ვერ ვიღებთ. მაშ რით გავასუქოთ პირუტყვი? ამ საქმეს, ალბათ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წერილის შემდეგ მაინც მივხედავთ.

კრების ყურადღება მიიპყრო ვეტერანი კოლმეურნის გოგოლა გოგიჩაიშვილის გამოსვლამ. მან თქვა:

— ზემო ჭინათის უბანი სოფლის ერთ-ერთი ლამაზი კუთხეა. აქ არის ჩაისა და ციტრუსების უხვმოსავლიანი პლანტაციები, რასაც მუყაითად ვუვლით, მოსავალს სხვაზე ნაკლებს არ ვიღებთ, მაგრამ აქაურები მოკლებული ვართ ელემენტარულ საყოფაცხოვრებო მომსახურებას. არ იქნა და საშვილი არ დაადგა გზის შეკეთებას, ტაქსის მძღოლიც კი უარს გვეუბნება ზემო ჭინათში ამოსვლაზე. სასმელი წყალი არა გვაქვს. წლების მანძილზე წისქვილის აგებას გვპირდებიან, მაგრამ ამაოდ. ჩვენთან არც მაღარიაა!..

დარბაზი ერთხმად დაემოწმა წარჩინებული კოლმეურნის სამართლიან საყვედურს. ზემო ჭინათში რამდენიმე წლის წინათ, 45 კომლი ცხოვრობდა, ეს ერთ-ერთი მძლავრი უბანი იყო ლესის კოლმეურნეობაში, მაგრამ, ცხადია, დღემდე ყურადღება არავის არ მიექცევია ამ კოხტა სოფლის კეთილმოწყობისათვის. ამიტომ ახლა ამ სოფელში 10 ოჯახიღა დარჩა, იმათაც თვალი ქალაქისაკენ უჭირავთო.

რ. დარჩიამ, დ. კუნკუნიამ (ბრიგადირები), შ. ბარამიძემ, ე. გუჯაბიძემ (მერგოლურები), ფ. დარჩიამ, თ. სულაბერიძემ, მ. კომახიძემ (კოლმეურნეები) და სხვებმა დღის წესრიგში დააყენეს მთელი რიგი საყურადღებო საკითხები. პირდაპირ თქვეს, რომ სოფლის გზით მომარაგება დანაშაულებრივი გზით ხდება — თითოეულ ბაღოსში 3 მანეთს ვიხდით, რადგანაც თავის ფასად არავინ გვაძლევსო...

კრებაზე ითქვა, რომ ამ დიდ სოფელში რიგზე ვერ არის რადიომიმსახურება, ელექტროგაყვანილობის ქსელი ავარიულ მდგომარეობაშია, სოუბნო-სანიტარიო გზები, მაღაზიები შესაკეთებელია.

კრებაზე დიდი მოწონებით გაეხიბლეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წერილი და მიიღეს საქმიანი დადგენილება. გადაწყვიტეს, რომ ეს წელი იქნება გარდატეხის წელი, მოაწყობენ საყოველთაო-სახალხო ლაშქრობას 1978 წელს სოფლის მეურნეობის ყველა დარგის მძლავრი აღმავლობისათვის; კოლმეურნეობის სამეურნეო-ორგანიზაციული განმტკიცებისათვის აამოქმედებენ ყველა რეზერვს., დაამზადებენ 1.080 ტონა ჩაის ფოთოლს, 1015 ტონა სიმინდს, ყოველნაირად განავითარებენ საზოგადოებრივ მეცხოველეობას.

ბ. ᲩᲮᲐᲘᲫᲔ,

„კომუნისტის“ საკ. კორ.

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲐᲮᲚᲝ ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ

ᲛᲐᲜᲔᲕᲠᲔᲑᲘ ᲡᲔᲞᲐᲠᲐᲢᲣᲚ ᲑᲐᲠᲘᲒᲔᲑᲐᲗᲐ ᲒᲐᲠᲨᲔᲛᲝ

● ᲨᲔᲠᲬᲧᲣᲚᲘ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲪᲘᲪᲔᲑᲘᲡ ᲪᲓᲔᲑᲘ ● ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲘ „ᲥᲝᲠᲔᲑᲘ“ ᲣᲒᲔᲕᲔᲜ ● ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘᲡ ᲩᲣᲛᲘ ᲓᲘᲐᲚᲝᲒᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲒᲔᲝᲠᲒᲘᲣᲗᲘ, 26 იანვარი. (საკ-დესი). არაბული სამყაროს პოლიტიკური მეთვალყურენი ერთსულოვნად აღიარებენ, რომ ეგვიპტის პრეზიდენტის სადათის ყველაზე ოდნავ მაინც გაემართლებინა არაბული საზოგადოებრივი აზრის წინაშე თავისი კაპიტულანტური პოლიტიკა, — სრული მარცხით დამთავრდა.

ოფიციალურ კაიროს ამაოდ ჰქონია ამერიკის შეერთებული შტატების მხარდაჭერის იმედი. არსებითად ვაშინგტონს არც უცდია შეერბილებინა ტელ-ავივის პოზიცია. პირიქით, ამერიკის შეერთებულ შტატებში ისრაელი ლობისტების აშკარა წაქეზებით ტელ-ავივი ახლა-ახალ და სულ უფრო ეტიფარ მოთხოვნებს აყენებს. ეტყობა, ასეთ პირობებში ამერიკული დიპლომატიის ამოცანა მხოლოდ ის იყო, რომ დაერწმუნებინა ეგვიპტე ისრაელი „ქორებისადმი“ შემდგომი დათმობის აუცილებლობაში.

ახლა კაიროს ხელმძღვანელობა გაფაციცებით ეძებს გამოსავალს შექმნილი მდგომარეობიდან. სადათის თეატრალური ესეტები და „ძმეთილი იყოს თქვენი მობრძანება!“ — ამ სიტყვებით ეგვიპტელ ყველას, ვინც სან-მარინოს რესპუბლიკის საზღვარს გადაკვეთს. ეს არის ევროპაში დღემდე არსებულ სახელმწიფოთა შორის უძველესი სახელმწიფო. და ერთ-ერთი ყველაზე პატარაც: ტიტანოს მთების ფერდობებზე შეფენილი რესპუბლიკის დედაქალაქ სან-მარინოში და ექვს ახლომახლო სოფელ-კომუნაში ოცი ათასზე ნაკლები კაცი ცხოვრობს. ფართობი კი სულ 61 კვადრატული კილომეტრია.

სან-მარინოში მიმავალი ოცდაშვიდივე გზა მთაზე გადის. მათ გასწვრივ მთის ძირიდან არცთუ მაღალი — 750 მეტრი — ტიტანოს მთის მწვერვალამდე დგას სახლები, ჩვეულებრივი სახლები, სადაც მუდამ სტუმრების მოლოდინში მყოფი პატარა რესპუბლიკის ჩვეულებრივი მოქალაქენი ცხოვრობენ.

სანმარინოელებს მართლაც უყვართ სტუმარი, და არა მარტო ძველ-რბილში გამჯდარი გულითადობის გამო, არამედ წმინდა პრაქტიკული მოსაზრებითაც: ტურიზმი მათი შემოსავლის მთავარი და ლამის ერთადერთი წყაროა. ამიტომ აქ ყველა და ყველაფერი მზად არის სტუმრის მისაღებად: ყოველ ფეხის ნაბიჯზე სასტუმროა, სახლების ქვედა სართულები დათმობილი აქვს ხუვენრგბის ფარდულებს. თეთრშუდირიანი და ხელთათმანიანი პოლიციელი სხვადასხვა ენაზე თავაზიანად გიხსნით, სად და როგორ მისვიდეთ, და ცდილობს უცხოელები არ დაჯარიმოს. წელიწადში ორჯერ კი, აპრილსა და ოქტომბერში, როცა თანამდებობის იკავებენ კაპიტან-რეგენტები, ქვეყნის მთავარი მმართველები, ტურისტებისათვის იმართება ხოლმე წარმოდგენა: ხავერდის შუა საუკუნეების დროინდელი კოსტიუმები, დოლები, არბალეტები... ყოველთვის მზად არის მასკარადისათვის საჭირო დეკორაციებიც — ქალაქ სან-მარინოს კოხტა, ძველებური ყაიდის მოედნები, სახლები და სამი ასასხლე. ყველაფერი ისეა, როგორც ორასი, სამასი, ოთხასი წლის წინათ იყო. ტურისტების გულისთვის იცვამს ქვეყანა საკარნავალო ნიღაბს. და უკვე გგონია, რომ აქ არც დროს დაგიდევენ, არც არაფრის დარი აქვთო — ისე მოხერხებულად ისწავლეს სანმარინოელებმა თავის მოჩვენება, თითქოს ზღაპარში ცხოვრობდნენ.

სან-მარინოს ნამდვილი სახე — ის კი არა, შელამაზებულ-შეფერადებული რომ არის უცხოელისთვის, არამედ სხვა, დამშუხრებული, სიღარიბის ნაჭეშით მოფენილი — შეიძლება ნახოთ ზამთარში, როცა, შებინდდება თუ არა, სახლის პატრონები, ამ პერიოდში იმეორებთ ტურისტის ლოდინით დაღლილნი, კვტავენ თავიანთ ფარდულებს, როცა მიხურული დარაბებიდან სინათლე გამოკრთის და გრძნობ იქ მსჯელობენ, რა ქნან ხვალ, თუ ისევ ვერაფერი გაყიდეს, ლაპარაკობენ იმაზე, დამპყრობლები ბევრჯერ გამოჩენილან. ზოგს მისი მოქალაქეების ვაჟკაცობა აჩერებდა, ზოგს კი, თითქმის ყოვლისშემძლეებს, პაწაწკინტელა რესპუბლიკის არსებობა საშუალებას აძლევდა სხვის თვალში სამართლიანი და დემოკრატიული ყოფილიყო და, მაგალითად, ნაპოლეონივით, „პატივს სცემდა“ სანმარინოელთა სუვერენიტეტს.

მაგრამ ყოველთვის როდი უწვევდნენ ანგარიშს სუვერენიტეტს. აი ერთი ფაქტი უახლესი ისტორიიდან: 1957 წელია. რესპუბლიკას მართავს კომუნისტთა და სოციალისტთა კოალიციური მთავრობა — ცუდი მაგალითია მეზობელი იტალიისათვის. და რუდა სან მარინოელმა ქრისტიანდემოკრატებმა სახელმწიფო გადატრიალება განიზრახეს, იტალიამ ბაშინვე დახმარების ხელი გაუწოდა მათ. 14 ათასი იტალიელი კარაბინერი (შეგახსენებთ, რომ სან-მარინოს მთელი მოსახლეობა ძუძუთა ასასხლე. ყველაფერი ისეა, როგორც ორასი, სამასი, ოთხასი წლის წინათ იყო. ტურისტების გულისთვის იცვამს ქვეყანა საკარნავალო ნიღაბს. და უკვე გგონია, რომ აქ არც დროს დაგიდევენ, არც არაფრის დარი აქვთო — ისე მოხერხებულად ისწავლეს სანმარინოელებმა თავის მოჩვენება, თითქოს ზღაპარში ცხოვრობდნენ.

სან-მარინოს ნამდვილი სახე — ის კი არა, შელამაზებულ-შეფერადებული რომ არის უცხოელისთვის, არამედ სხვა, დამშუხრებული, სიღარიბის ნაჭეშით მოფენილი — შეიძლება ნახოთ ზამთარში, როცა, შებინდდება თუ არა, სახლის პატრონები, ამ პერიოდში იმეორებთ ტურისტის ლოდინით დაღლილნი, კვტავენ თავიანთ ფარდულებს, როცა მიხურული დარაბებიდან სინათლე გამოკრთის და გრძნობ იქ მსჯელობენ, რა ქნან ხვალ, თუ ისევ ვერაფერი გაყიდეს, ლაპარაკობენ იმაზე, რომ ალბათ ტუნილად დატოვეს სოფელი, ვიღაც ქალი კი კიბოსულის წერილს, რომელიც ალბათ ჰამბურგში საშოვარზე წასულმა ქმრმა გამოუგზავნა...

ეს ამბავი ათას ხუთასზე მეტი წლის წინათ დაიწყო, როცა ტიტანოს მთაზე ადრიატიკის გაღმიდან, დალმაციიდან, ქრისმოლელი მარინო გამოიქცა. გამოიქცა, რათა სიკვდილს ჯადარჩენოდა და თავისუფლება მოეპოვებინა. დიდხანს არ უცხოვრია მარტოდმარტო: თავისუფლების ყურვილი სულ უფრო მეტ ხალხს კრებდა მის გარშემო. მეათე საუკუნის ოფიციალურ დოკუმენტებში სან-მარინო. რომელსაც მისი დამაარსებლის სახელი ეწოდა, უკვე მოიხსენიება როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო.

სახელმწიფოს გერბზე ამოკვეთილია: „თავისუფლება“ მხოლოდ სამჯერ შემოდგეს ფეხი უცხოელმა ჯარისაცებმა რესპუბლიკის ტერიტორიაზე: 1503, 1739 და 1944 წლებში. მაგრამ ქვეყნის საზღვრებთან ბავშვებიანად დღეს ოცი ათასს უახლოვდება) 33-კილომეტრიანი საზღვრის გასწვრივ ჩამწკრივდა. მემარცხენეები, ოღონდ სისხლი არ დაიღვარესო, უხეშ ძალას დაემორჩილნენ. ქრისტიანმა დემოკრატებმა ხელთ იგდეს ძალაუფლება.

სან-მარინოს ᲧᲝᲤᲘᲜ-ᲐᲠᲥᲘᲤᲘᲜᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲘᲢᲐᲚᲘᲐᲖᲔ, რომელიც ყოველი მხრიდან გარს ერტყმის რესპუბლიკას. ორი სუვერენული სახელმწიფოს ურთიერთობას არეგულირებს 1939 წელს ხელმოწერილი ხელშეკრულება, რომლის პირველივე პარაგრაფი ამტკიცებს, რომ სან-მარინოს ერთადერთი მეგობარი იტალიაა. რესპუბლიკას უფლება არა აქვს იქონიოს საკუთარი ფული (აქ იტალიური ლირაა ხმარებაში), საკუთარი რადიოსადგური (მთავრობას, რომ სასწრაფოდ დასჭირდეს რაიმეს შეტყობინება თავისი მოქალაქეებისათვის, სხვა გზა ანა აქვს, ფანფარებიანი ჰეროლდები უნდა დაგზავნოს). სანმარინოელი თეთრ-ცისფერი პასპორტი კაცს იტალიის საპატიმროსგანაც კი ვერ იხსნის, მეტ უმეტეს, რომ აქ საკუთარი საპატიმრო არ გააჩნიათ.

ახლახან დეპეშათა სააგენტოები იუწყებოდნენ: სან-მარინოში ქრისტიან დემოკრატთა და სოციალისტთა მთავრობა გადადგა. დაიწყო მთავრობის კრიზისი. ქვეყანაში სულ უფრო გაბედულად აცხადებენ, რომ კაბინეტში უნდა შევიდნენ არა უბრალოდ ახალი ადამიანები, არამედ ისეთი ადამიანები, რომლებსაც უნარი შესწევთ განაზორციელონ სხვაგვარი, ახალი პოლიტიკა.

— ჩვენ, კომუნისტები, — თქვა ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტისათვის მიცვამულ ინტერვიუში უმბერტო ბარელიმ, სან-მარინოს კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა, — ჩვენი ქვეყნის ყველა დემოკრატი ვიბრძვით არსებული მდგომარეობის შეცვლისათვის. ეს მდგომარეობა კი დღითი დღე რთულდება. 1939 წლის შეთანხმება უნდა გადაისინჯოს. მაგრამ საქმე მხოლოდ ეს არ არის. ძირფესვიან გარდაქმნას მოითხოვს ეკონომიკა. ქვეყანაში თითქმის არ არის მრეწველობა, გაპარტახებულია სოფლის მეურნეობა. იტალიის ეკონომიკური კრიზისი აღრმავებს ჩვენს საკუთარ სიძნელეებს.

ბარელიმ აგრეთვე თქვა, რომ ვისი ქვეყანა ესწრაფვის მშვიდობას და თანასწორუფლებიან თანამშრომლობას.

სან-მარინომ უკანასკნელად იომა (თუ არ ჩავთვლით თუთუმეტ ჯარისკაცს, რომლებიც მონაწილეობდნენ პირველ მსოფლიო ომში) 1463 წელს. თავიანი და სხვა ხალხების მშვიდობა ხურს მას მიმავალში. ამით აიხსნება ესოდენ პატარა სახელმწიფოსთვის რესპუბლიკის უჩვეულო აქტიურობა საერთაშორისო საქმეებში: იგი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრია, დიპლომატიური ურთიერთობა აქვს ათობით ქვეყანასთან, სან-მარინო ხელს აწერს სრულიად ევროპის თათბირის საბოლოო აქტს.

მაგრამ უწინარეს ყოვლისა — საშინაო საქმეები. ძნელია საკუთარ სახლში სხვათა ლხინის შემყურე იყო, როცა ყიდი მარკეზი და ლიქიორს, რომ დამოკიდებული ხარ ტურისტთა ბრბოს ჭირვეულობაზე, რომელებიც მიდიან და მოდიან...

სანმარინოელები რჩებიან.

Თ. ᲢᲠᲣᲜᲝᲕᲘ.

ᲡᲐᲜ-ᲛᲐᲠᲘᲜᲝᲡ ᲜᲐᲮᲔᲕᲠᲘᲚᲘ ᲡᲐᲮᲔ

ᲕᲘᲔᲢᲜᲐᲛᲘ

ᲙᲐᲛᲞᲣᲩᲘᲔᲚᲘ ᲯᲐᲠᲘᲡᲙᲐᲪᲔᲑᲘ ᲐᲦᲘᲐᲠᲔᲑᲔᲜ

ᲯᲐᲜᲝᲛᲘ, 26 იანვარი. (საკდესი). სხვადასხვა დოკუმენტები, რომლებიც ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის ტერიტორიაზე კამპუჩიის ჯარების თავდასხმების მოგერიების დროს ჩაუვარდათ ხელში ვიეტნამის სახალხო შეიარაღებულ ძალებს, აგრეთვე კამპუჩიელი ტყვეების ჩვენებები ადასტურებს, რომ კამპუჩიის ხელმძღვანელობა განზრახავ, წინასწარ შემუშავებული გეგმებით აწყობს შეიარაღებულ თავდასხმებს ვიეტნამის ტერიტორიაზე და ცდილობს ეროვნული შუღლი ჩამოგდოს ორი ქვეყნის ხალხებს შორის.

„კამპუჩიის ხელმძღვანელობა საოდუმლოდ ამზადებდა გეგმას, რომ უეცრად დასხმოდა თავს სამატს ვიეტნამის ტეინინის პროვინციაში, — განაცხადა ჯარისკაცმა სიემ სა ვინმა. — ჩემმა ქვეგანყოფამ ბრძანება მიიღო ალყამი მოექცია ვიეტნამის № 27 სასაზღვრო საგუშაგო, მაშინ როდესაც სხვებს სოფლების მოსახობა დაევალათ. ბევრი სოფელი გადაბუგეთ კიდეც“.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲢᲣᲠᲘ ᲣᲨᲔᲓᲔᲑᲝᲓ

ᲠᲝᲛᲘ, 26 იანვარი. (საკდესი). დამთავრდა ქრისტიანი დემოკრატის ჯ. ანდრეოტის კონსულტაციების პირველი ტური, რომელსაც პრეზიდენტმა დაავალა ახალი მთავრობის შედგენა. ჯ. ანდრეოტი შეხვდა პარლამენტში წარმოდგენილი ყველა პოლიტიკური პარტიის დელეგაციებს. ამ მოლაპარაკების ახალი ტური მომავალ კვირაში დაიწყება.

კონსულტაციების პირველმა ტურმა ცხადყო, რომ პარტიებს აქვთ ერთნაირი აზრი ახლანდელი მთავრობის კრიზისის დაძლევის გზების შესახებ. კომუნისტები და სოციალისტები მოითხოვენ, რომ იტალიაში შეიქმნას თანამრობა მთელი დემოკრატიული ძალების, მათ შორის კომუნისტური პარტიის მონაწილეობით. რესპუბლიკური და სოციალ-დემოკრატიული პარტიების ხელმძღვანელები ამ თუ იმ ფორმით კვლავ აცხადებენ, რომ საჭიროა ცვლილებები სახელმწიფოს პოლიტიკურ ხელმძღვანელობაში.

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში გრძელდება საპროტესტო კამპანია პენტაგონისა და ამერიკის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის იმ განზრახვის წინააღმდეგ, რომ დაიწყონ მასობრივი ნოსპობის იარაღის — ნეიტრონული ბომბის წარმოება (გაზეთებიდან).



ᲐᲕᲒᲔᲓᲘᲗᲘ ᲐᲩᲠᲓᲘᲚᲘ.

Გ. ᲚᲝᲛᲘᲫᲘᲡ ᲜᲐᲮᲐᲢᲘ.

ᲓᲐᲐᲙᲐᲢᲘᲛᲠᲔᲡ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘ

ᲩᲐᲩᲐᲕᲠᲘᲐ, 26 იანვარი. (საკდესი). ინდონეზიის უშიშროების სამსახურის კომპეტენციის ხელმძღვანელმა ადმირალმა სუდომომ განაცხადა, რომ ქვეყანაში დაპატიმრებულია 140-ზე მეტი სტუდენტი. რომლებიც ჩაკარტასა და იავის სხვა ქალაქებში გამართულ მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლებში მონაწილეობდნენ.

აგრეთვე 15 კაცი, „რომლებიც ცდილობდნენ სტუდენტთა მღელვარებით ესარგებლათ და ძალი გამოეთხარათ მთავრობის ავტორიტეტისათვის, გამოეწვიათ მასობრივი არეულობა“. კომპეტენციის ხელმძღვანელმა არ გაამხილა ამ 15 კაცის ვინაობა.

როგორც ადგილობრივი მიმოხილველები აღნიშნავენ, ქვეყანაში შექმნილი ეკონომიკური მდგომარეობით შეწუხებული სტუდენტების სამართლიან უკმაყოფილებას თავიანთი ინტერესებისათვის იყენებენ დასავლეთის გარკვეული წრეები. ისინი ინდონეზიის პროდასავლური დაჯგუფებების მეშვეობით მოქმედებენ და ცდილობენ კიდევ უფრო გაამწვავონ ვითარება, ბევრი რამ დაათმობინონ მთავრობას სახელმწიფოთაშორისო კორპორაციებისათვის. რომელთა პოზიციები ინდონეზიაში ამ ბოლო წლების მანძილზე საგრძნობლად შეილახა.

მარტისათვის, დანიშნული პრეზიდენტის არჩევნების წინ ინდონეზიის უდიდეს ქალაქებს სტუდენტთა დემონსტრაციებისა და მიტინგების ტალღამ გადაუარა. ისინი მოითხოვენ დაუყოვნებლივ გადაწყდეს მწვავე ეკონომიკური პრობლემები, განხორციელდეს ქმედითი ღონისძიებანი კორუფციის წინააღმდეგ საბრძოლველად, აღარ აირჩიონ სუხარტო პრეზიდენტის პოსტზე ახალი ხუთწლიანი ვადით.

ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲐ

ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲘ „ᲕᲔᲢᲔᲠᲐᲜᲘ“

ᲣᲜᲒᲠᲔᲗᲘᲡ უძველეს ქალაქ ეტერგომში ყოველწლიურად ეწყობა ძველი ავტომანქანების საერთაშორისო დათვალიერება. ტრადიციული პარადის შემდეგ „ვეტერანები“ ერთმანეთს სიჩქარეში ეჯიბრებიან. ამ უკანასკნელ ხანს გამართულ ასპარეზობაზე მრავალი მარკის მანქანა იყო წარმოდგენილი. ზოგიერთ მათგანს სამუზეუმო ღირებულებაც კი აქვს.

შეუვედრის „ვარსკვლავი“ გაღდა 1927 წელს გამოშვებული „ჭერსედეს ბენც ლუქსი“. აღმოჩნდა, რომ მას დღესაც შეუძლია საათში 120 კილომეტრი სიჩქარე განავითაროს. დასავლეთგერმანულმა ფირმამ „მერსედესმა“ ავტომანქანის მფლობელს ლაიფციგელ რუდოლფ დიოგეს 200 ათასი მარკა შესთავაზა. მაგრამ მან კატეგორიული უარი თქვა და განაცხადა, რა თანხაც უნდა მომცეთ, მანქანას ვერ შეველევიო.

„ᲒᲝᲠᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ“

„გორილების ხელოვნება“ — ასე ეწოდება გამოფენას, რომელზეც კვირადღეობით ნიუიორკელებს იწვევს ბრ

პარტიის ნამდვილი ჯარისკაცი



პ. ი. არველაძის დაბადების 90 წლისთავისათვის

პარტიაში ადამიანები, რომლებმაც სიცოცხლე შესწირეს მუშათა კლასის განთავისუფლების, კომუნიზმისათვის ბრძოლის საქმეს, მათ სახელებს დიდი პატივისცემითა და სიყვარულით იხსენიებენ. ასეთი ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის ქართველი ხალხის სახელოვანი შვილი, ბოლშევიკური პარტიის ლენინური გვარდიის ღირსეული წარმომადგენელი პეტრე იაკობის ძე არველაძე.

პ. არველაძე დაიბადა 1888 წლის 28 იანვარს ქუთაისის მაზრის სოფელ ჭაგაწში ღარიბი გლეხის ოჯახში. მძიმე და უსიხარულო ბავშვობის წლები მან სიღარიბეში გაატარა. იგი ახალგაზრდობიდანვე გაიტაცა რევოლუციურმა იდეებმა, რომელთა გავლენით დაიწყო მარქსისტული მოძღვრების შესწავლა, და მალე ბოლშევიკური პარტიის წევრი გახდა.

1905-1907 წლების რევოლუციის ბობოჭარ დღეებში პ. არველაძე ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარი სახელოსნოების მუშებს შორის ეწეოდა პარტიულ მუშაობას, აქტიურ მონაწილეობას იღებდა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მიმართულ მშრომელთა რევოლუციურ გამოსვლებში. რევოლუციის დამარცხების შემდეგ 1909 წელს იგი აირჩიეს რსდმპ (ბ) თბილისის კომიტეტის შემადგენლობაში და თბილისის ბოლშევიკური ორგანიზაციის სხვა ხელმძღვანელ ამხანაგებთან ერთად დიდ მუშაობას ეწეოდა რაკრების მიერ დარბეული ბოლშევიკური ორგანიზაციების აღდგენისა და განმტკიცებისათვის, აყალიბებდა მუშათა არალეგალურ წრეებს, იბრძოდა მენშევიკ-ლიკვიდატორების წინააღმდეგ, აწყობდა იმასკუსიებს, ხელმძღვანელობდა ბოლშევიკური გაზეთებისა და პროკლამაციების გამოცემის საქმეს და სხვ.

თბილისის ბოლშევიკური ორგანიზაციის გააქტიურებას მოჰყვა რეპრესიების გაძლიერება. 1910 წლის ზაფხულში ჟანდარმერიამ დააპატიმრა ამ ორგანიზაციის თითქმის მთელი ხელმძღვანელობა. დაპატიმრებულთა შორის პ. არველაძეც იყო. იგი ჯერ მეტეხის ციხეში გამომწყვდიეს, ხოლო შემდეგ სამი წლით ხარკოვის გუბერნიაში გადაასახლეს.

1912-1913 წლებში პ. არველაძემ პარტიის დაკალებით შემოიარა კავკასიის მთელი რიგი ქალაქები და სოფლები, მათ შორის თბილისი, ბაკო, ქუთაისი, არმავირი, სამტრედია, ზაქათალა და სხვ. 1912 წელს პ. არველაძე ე. სტასოვასთან, ს. სპანდარიანთან, ვ. ძნელაძესთან, ს. კასიანთან, მ. კვარაცხელიასთან, ო. გაბუნიასთან ერთად შედიოდა რსდმპ(ბ) თბილისის ჯგუფის ხელმძღვანელობის შემადგენლობაში.

1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულმა რევოლუციამ პ. არველაძეს ქ. ალექსანდროპოლში მოუსწრო. მეფის ხელისუფლების დამხობას იგი უდიდესი აღტაცებით შეხვდა და გაათკეცებული ენერგიით შეუდგა მუშათა მასების დარაზმვას სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის საბრძოლველად. პ. არველაძე დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა მუშებსა და ჯარისკაცთა მასებში, სისტემატურად გამოდიოდა მრავალრიცხოვან მიტინგებზე, დაუნდობლად ამხილებდა კონტრრევოლუციური პარტიების მოღალატურ პოლიტიკას და რევოლუციურ მასებს საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისაკენ მოუწოდებდა.

1917 წლის ივლისში ალექსანდროპოლის ბოლშევიკებმა გამოიყენეს გაერთიანებული სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციიდან და დამოუკიდებელი ბოლშევიკური ორგანიზაცია ჩამოყალიბეს. ამ ფაქტს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მასების ბოლშევიკური ორგანიზაციის გარშემო შეკავშირებისათვის. პ. არველაძე აირჩიეს იქნა რსდმპ (ბ) ალექსანდროპოლის კომიტეტის თავმჯდომარედ.

პ. არველაძე აქტიურ მუშაობას ეწეოდა საბჭოების ბოლშევიზაციისათვის. 1917 წლის ოქტომბერში ქ. ალექსანდროპოლის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭომ კონტრრევოლუციური პარტიების გაფფურებული წინააღმდეგობის მიუხედავად მიიღო პ. არველაძის წინადადება საბჭოს, გადარჩენის შესახებ. იგი აირჩიეს აგრეთვე ალექსანდროპოლის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარედ. იმავე წლის დეკემბერში პ. არველაძე აირჩეულ იქნა ალექსანდროპოლის საბჭოს ჯარისკაცთა სექციის თავმჯდომარედ.

სოციალისტური რევოლუციის მომზადების პროცესში კავკასიელი ბოლშევიკებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა კავკასიის სამხარეო პარტიული ორგანიზაციების პირველ ყრილობას, რომელიც ქ. თბილისში გაიმართა 1917 წლის ოქტომბერში. ქ. ალექსანდროპოლის ორგანიზაციამ თავის დელეგატად ყრილობაზე პ. არველაძე გამოგზავნა. მან კავკასიელი ბოლშევიკების ამ ისტორიული ფორუმის მუშაობაში აქტიური მონაწილეობა მიიღო.

კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების სამხარეო კომიტეტმა სხვა გამოჩენილ პარტიულ მოღვაწეებთან: ი. სტალინთან, ს. შაუმიანთან, ნ. ნარიმანოვთან, ი. ფიოლეტოვთან, ა. ჯაფარიძესთან ერთად პ. არველაძე დაასახელა დამფუძნებელი კრების დეპუტატობის კანდიდატად. მან 1917 წლის დეკემბერში აქტიური მონაწილეობა მიიღო კავკასიის არმიის მეორე სამხარეო ყრილობის მუშაობაში. ყრილობის შემდეგ პარტიის დავალებით იგი მუშაობს ბაქოში. სადაც შეურიგებლად იბრძვის შინაური კონტრრევოლუციისა და უცხოელი ინტერვენტების წინააღმდეგ, მონაწილეობს ბაქოს კომუნის საქმიანობაში.

ბაქოს კომუნის არსებობის პერიოდში იგი გამუდმებით ქალაქში მიმოფეზეოდა და დაძაბულ მუშაობას ეწეოდა ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების პირველი ციტადელის განსამტკიცებლად. პ. არველაძე მუშაობდა ბაქოს მუშათა, ჯარისკაცთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოში, შემდეგ კი ბაქოს სახალხო კომისართა საბჭოს მდივნად. მთელ თავის ენერგიას, ცოდნას, გამოცდილებას იგი მთლიანად ახმარდა საბჭოთა ხელისუფლებისადმი სამსახურს.

სამოქალაქო ომის მძიმე წლებში პ. არველაძე ეფაკაური შემართებით იბრძოდა ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის დასაცავად, უცხოელ ინტერვენტებისა და შინაური კონტრრევოლუციური ბანდების წინააღმდეგ.

31 წლის ასაკში შეწყდა მგზნებარე რევოლუციონერის სიცოცხლე. 1919 წლის გაზაფხულზე ქ. ასტრახანთან გამართული გაფფურებული ბრძოლების დროს დაიღუპა სახელოვანი მე-11 არმიის ლენინური პოლკის კომისარი პ. არველაძე. გაზეთი „კრასნი ვოინი“ პ. არველაძის სიკვდილის გამო 1919 წლის 6 აპრილს წერდა: „შენს საფლავზე ჩვენ, შენი ამხანაგები... სიამაყით ვუცხადებთ დაუნდობელ გადამწყვეტ ბრძოლას რევოლუციის პირისსანლიან მტრებს და ვიძლევით ამხანაგურ კომუნისტურ აღთქმას, რომ მაღლა ვატარებთ სოციალიზმის ალისფერ დროშას“.

ს. კაპანაძე,
საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი. (საქინფორმი).

• • •

ხურათზე: პ. არველაძე.

ჰიდაობა ● თბილისის საერთაშორისო

ხალიჩაგე — უძლიერესნი

გუშინ სპორტის სასახლეში დაიწყო თბილისის XVII ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჰიდაობაში. 181 მონაწილე! — დაუკვირდით ამ ციფრს. მართალია, თბილისის საერთაშორისო ტურნირში მონაწილეთა რაოდენობა ყოველთვის დიდი იყო, მაგრამ ასეთი წარმომადგენლობითი ასპარეზობა ჰიდაობაში თბილისელებს ჯერ არ უნახავთ. თბილისში ჩამოვიდნენ უცხოეთის 11 ქვეყნის მოჭიდაკეები. გთავაზობთ ქვეყნების სიას და იმასაც, თუ თითოეულმა რამდენი ფალავანი ჩამოიყვანა: ბულგარეთი, რუმინეთი და კუბა — 12-12, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა — 8, პოლონეთი და ჩინოლოეთი — 7-7, ჩეხოსლოვაკია და უნგრეთი — 6-6, თურქეთი — 10, ამერიკის შეერთებული შტატები — 15, ირანი — 16. ოცი შეეხებათ მასპინძლებს, სსრ კავშირისა და ჩვენი რესპუბლიკის გუნდებს, მათ შეჯიბრებაში 70 მონაწილე გამოჰყავთ (აქედან 20 საქართველოს გუნდიდანაა).

წლევანდელი ტურნირისადმი ინტერესს ისიც ზრდის, რომ ახლა, როცა მოსკოვის ოლიმპიადა მოგვიახლოვდა, ყველა ცდილობს მოსინჯოს იმ ახალგაზრდათა ძალები, რომლებმაც სწორედ ოლიმპიურ ასპარეზობაში უნდა დაიცვან თავიანთი ქვეყნების დირსება. უახლესი მიზანი კი ევროპისა და მსოფლიოს წლევანდელი ჩემპიონატებია.

ამჟამად თბილისში სხვადასხვა ქვეყნის თითქმის ყველა უძლიერესი სპორტსმენი ჩამოვიდა, მაგრამ მონაწილეთა შორის მაინც ახალგაზრდობა ჭარბობს. ცხადია, ეს იმიტომ მოხდა, რომ მწვრთნელებს სწორედ ახალგაზრდებს შორის სურთ აღმოაჩინონ ახალი ტალანტები. ჩვენ ხომ არაერთი მაგალითი გვაქვს იმისა, რომ სწორედ თბილისის ტურნირებში გამარჯვების მერე მრავალი ფალავანი დაოსტატებულა და სსრ კავშირის, ევროპისა თუ მსოფლიოს ჩემპიონატებში უსახელებია თავი.

გუშინდელი, პირველი წრის შეხვედრებიდან რამდენიმე ორთაბრძოლას შევეხებით. სასახლეში ერთდროულად სამ სარბიელზე ასპარეზობენ მოჭიდავენი და ხნირად სამივე ხალიჩაზე მეტად უმეღავათო ბრძოლები მოჰქონ ვხდებით. მათგან გამოვყოფთ საქართველოს ნაკრების ორ წარმომადგენელს — ანზორ კაპანაძეს (52 კგ) და გივი ქენქაძეს (57 კგ). ერთმაც და მეორემაც დიდი ოსტატობა გამოამჟღავნეს: კაპანაძემ ირანელ რაშიდ ფარხადესთან ორთაბრძოლისას ფანდების კორიანტელი დაუყენა, და როცა ჭიდაობისათვის განკუთვნილი დრო გავიდა, მასპინძელი წინ იყო ანგარიშით 20:3. ეს კი იმის მაუწყებელი გახლდათ, რომ კაპანაძემ წმინდა მოგება მოიპოვა.

ქენქაძემაც წმინდა გამარჯვება იზეიმა, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ მისი მეტოქე იოზეფ კლიმჩაკი ორთაბრძოლის დაწყებიდან ოთხნახევარი წუთის შემდეგ ხალიჩას ბეჭებით შეეხო.

წილისყრამ პირველ შეხვედრაშივე ერთმანეთის პირისპირ დააყენა საქვეყნოდ აღიარებული საბჭოთა სპორტსმენები ლევან თედიაშვილი და ალანბეკ ბისულთანოვი (100 კგ-მდე წონითი კატეგორია).

თამამად უნდა ითქვას, რომ ეს ორთაბრძოლა გუშინდელი შეხვედრების გვირგვინი იყო. აქ ერთმანეთს შეეჯახა ერთი მხრივ, გამოცდილება, უზადო ტექნიკა, ტაქტიკური აზროვნება, სილაღე, და მეორე მხრივ, მოუკარებელი ძალა, ჯერ კიდევ დაუხვეწავი ტექნიკა. დაახლოებით ასეთი დახასიათება მისცეს თედიაშვილს და ბისულთანოვს საკავშირო სპორტკომიტეტის სახელმწიფო მწვრთნელმა ა. დიაკონმა და ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ი. მახმურადოვმა. ცხადია, თედიაშვილმა ყველაფერი ის, რაც მას გამოცდილებამ შესძინა, დიდებულად გამოიყენა, ყოველივე ეს მომგებიან ქულებად გარდაქმნა და დამაჯერებელი უპირატესობით გაიმარჯვა — 8:1. ეს ერთი ქულა მეტოქემ თედიაშვილისათვის გაფრთხილების მიეცემის ხარჯზე აიღო. და თუ ბისულთანოვი ხალიჩას ზურგით არ შეეხო, იგი ერთ ბის საეჭვო თვისებას უნდა უმაღლოდეს: კრიზისულ მომენტში მეტოქის მარწუხებიდან ელვისებური სისწრაფით დასხლტომის უნარს. თედიაშვილს ჭიდაობის ნახვას მოწყურებულ თბილისელებს მისი გუშინდელი გამოსვლა, მართლაც რომ, დიდხანს დაახსოვდებათ.

სანახაობრივად საინტერესო აღმოჩნდა 100 კგ-ის ზევით წონითი კატეგორიის მოჭიდავეებს ნოდარ მოდებაძისა და ვლადიმერ პარშუკოვის შერკინებაც. ნოდარმა უკვე პირველ ორ პერიოდში რამდენიმე სრულფასოვანი ფანდი ჩაატარა, შესამე პერიოდში კი მისი მეტოქე ამკარად პასიურობის გზას დაადგა, ბიიღო ბოლო, შესამე გაფრთხილება და, ცხადია, მოდებაძეს წმინდა მოგება მიეკუთვნა.

ჯ. ენუქიძე.



ხურათზე: სარბიელის საერთო ხედი. ა. კოტორაშვილის ფოტო.

ტურნირი დაიწყო

კალათბურთელ ვეფთა უმაღლესი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის ნახევარფინალური ტურნირი, რომელშიც ქვეყნის 8 უძლიერესი კოლექტივი მონაწილეობს, რიგაში გამართული მატჩით დაიწყო. აქ ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი ვეფი და ტალინის „კალევი“. რიგელებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 120:112 (62:55).

ამ შეხვედრის ყველაზე შედეგიანი მოთამაშე იყო ტალინელი რაშიდ აბელიანოვი. მან გუნდს 34 ქულა შესძინა. დღეს ამ ტურნირის მეორე მატჩი გაიმართება: მოსკოვის „დინამო“ უმასპინძლებს რიგის ვეფს. 29 იანვარს კი თბილისის „დინამო“ მოსკოვში ცსკას შეხვდება.

„მრავლის ალმთქმელი ტალანტი“

ბონი, 27 იანვარი. (საკვლევი). „გამოცდილებისა და ახალგაზრდობის საინტერესო შეხვედრას“ უწოდებს მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ფინალური მატჩის ამ შეჯიბრების საორგანიზაციო კომიტეტის პრეზიდენტი — გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ცნობილი ჭადრაკის მოღვაწე ალფრედ კინცელი.

გამოცდილება, კინცელის აზრით, ისრაელ ალა კუშნირის ხბარეზეა, მაგრამ თბილისელი მოსწავლე მაია ჩიბურდანიძე მეტოქეზე ზუსტად... 20 წლითაა უმცროსი.

„მის ჩიბურდანიძე, — განუცხადა კორესპონდენტებს კინცელმა — ბრწყინვალე, ახალგაზრდა და მრავლის ალმთქმელი ტალანტია ჭადრაკში“.

კუშნირ-ჩიბურდანიძის მატჩი, როგორც ვიცით, მიმდინარეობს დასავლეთ გერმანიის ქალაქ ბადკისინგენში, რომელიც ბავარიის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარეობს. ეს საკურორტო ქალაქი გარშემორტყმულია რენის მაღლობებზე გადაშლილი ტყეებით. შეჯიბრებისათვის არჩეულია „კურორტელ-200“ ოტელის კონფერენც-დარბაზი.

კინცელმა უარი თქვა ეწინააღმდეგებოდა ეს შეჯიბრების შედეგი. მან მხოლოდ თქვა, რომ ორივე კონკურენტი საერთაშორისო დიდოსტატები არიან და უკვე ეს მკვლევრმეტყველურად მოწმობს მათი თამაშის დონეს.

კინცელის აზრით, მატჩი დაახლოებით ორ თვეს გასტანს, რადგან მეტოქეებმა თოთხმეტი პარტია უნდა ითამაშონ, ხოლო გაიმარჯვებს ის, ვინც პირველი შეაგროვებს 7,5 ქულას.

ნ. იოსელიანი — ლიდერი

ქალაქ კიკინდაში (იუგოსლავია) გრძელდება ევროპის თასის მეორე გათამაშება მოჭადრაკე გოგონათა შორის. თბილისელმა ოსტატმა ნინა იოსელიანმა ტურნირში, რომელიც შვეიცარიული სისტემით თამაშდება, ხუთი ტურის შემდეგ 4 ქულა დაგროვა და შეჯიბრებას ლიდერობს. აღსანიშნავია, რომ მან დაამარცხა რუმინელი იღიე, რომელიც სამი ტურის შემდეგ ლიდერობდა. იოსელიანს კიდევ 4 შეხვედრა დარჩა.

ფეხბურთი

ალმავლობით ითამაშეს

გუშინ სოხუმის მახლობლად ეშერის სტადიონზე გაიმართა საკონტროლო შეხვედრა ქუთაისის „ტორპედოსა“ და ბაქოს „ნეფტჩის“ ფეხბურთელთა გუნდებს შორის. ქუთაისელებმა ალმავლობით ითამაშეს და გაიმარჯვეს ანგარიშით 4:0. ბურთები გაიტანეს სვანაძემ, გაბიჩვაძემ, ჩიმაკაძემ და ქვირიამ. აღსანიშნავია, რომ 11-მეტრიანი დარტყმები ვერ გამოიყენეს ქუთაისელმა ქვირიამ და ბაქოელმა ბანიშევსკიმ.

— მოკლედ

ხელბურთი. დანიაში დაიწყო მსოფლიოს IX ჩემპიონატი ხელბურთელ ვეფთა შორის. სსრ კავშირის ნაკრებმა დაამარცხა ისლანდიის გუნდი ანგარიშით 22:13.

ჰადრაკი. სსრ კავშირის ჩემპიონის წოდებისათვის დიდოსტატ ბ. გულკოსა და ი. დორფმანს შორის მატჩის მეხუთე პარტია 41-ე სვლაზე გადაიდო. ჯერჯერობით ანგარიშია 2:2.

ეკრანიზაციის ჯადოსანი თბილისი

30 იანვარი

09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან). 09.30 — ქართული დოკუმენტური ფილმი — „ქვის მთელი“ (ფერადი), 17.55 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის — ბიოლოგია, 18.40 — „მოსწავლეთა სამართლებრივი აღზრდა“, 19.10 — „ცეროდელას ეკრანი“, 19.25 — „ვეფტნიკი“ — საინფორმაციო პროგრამა, 19.45 — „წელი მესამე — წელი დამკვრელური“ (მოსკოვიდან), 20.30 — „ვერნისაჟი“, 21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „გამოცდა ჩინისათვის“, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.35 — რუსული რომანსის საღამო (ფერადი).

31 იანვარი

09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 09.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მთიანი ალტაი“ (ფერადი), 18.00 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის — ქართული ენა, 18.35 — შვეიცარიული ინგლისური ენა, 19.05 — „დეპუტატი და ცხოვრება“, 19.35 — მხატვრული ფილმი „ბოროტმოქმედი და მისი დოსიე“, 21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — „თქვენი თხოვნით“ — საესტრადო კონცერტი, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.35 — სპორტული მიმოხილვა.

1 თებერვალი

09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 09.30 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ჯარისკაცი და დედა“, 18.00 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის — მათემატიკა, 18.45 — შვეიცარიული ინგლისური ენა, 19.15 — „ბოროტმოქმედი“ — „ბოროტმოქმედი“ — „ბოროტმოქმედი“